

საქართველოს ეროვნული ბანკი

## სატენდერო დოკუმენტაცია

### საკანცელარიო ნაწარმის შესყიდვა ელექტრონული ტენდერის საშუალებით

(კლასიფიკატორის დანაყოფი 30100000)

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ საფუძველზე.

ქ. თბილისი  
2016 წელი

## სარჩევი

ინსტრუქცია ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.....	3
1. ტენდერში მონაწილეობის უფლება.....	3
2. მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მიმწოდებელი ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.....	3
3. ტექნიკური დოკუმენტაცია.....	3
4. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები.....	4
5. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი პარამეტრები .....	4
6. დამატებითი ინფორმაცია: .....	7
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი.....	7
დანართი N1 - ფასების ცხრილი .....	11

# ინსტრუქცია

## ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად

### 1. ტენდერში მონაწილეობის უფლება

1.1. ტენდერში მონაწილეობის უფლება აქვს ყველა დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირს, რომელიც გაცნობილია და ეთანხმება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს და არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში („შავი სია“).

### 2. მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მიმწოდებელი ტენდერში მონაწილეობის მისაღებად

2.1. მიმწოდებელს უნდა გააჩნდეს ანალოგიური საქონლის მიწოდების გამოცდილება უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში.

### 3. ტექნიკური დოკუმენტაცია

3.1. პრეტენდენტმა ტექნიკური დოკუმენტაციის სახით სისტემაში უნდა ატვირთონ შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:

- ინფორმაცია უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ანალოგიური საქონლის მიწოდების შესახებ, შემსყიდველის მითითებით;
- პრეტენდენტის სრული რეკვიზიტები (დასახელება, იურიდიული და ფაქტიური მისამართი, ხელმძღვანელის თანამდებობა, სახელი და გვარი, ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი, საბაკო რეკვიზიტები);
- ფასების ცხრილი დანართი N1-ის მიხედვით. ფასების ცხრილში მწარმოებლის და წარმოშობის ქვეყნის დასახელება სავალდებულოა!

3.2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონული სისტემაში სატენდერო წინადადების (ტექნიკური დოკუმენტაცია და სატენდერო წინადადების ფასი) წარდგენით პრეტენდენტი ავტომატურად ადასტურებს, რომ შესყიდვის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში, იგი იმოქმედებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მოთხოვნათა შესაბამისად და გამოხატავს თანხმობას ამ პუნქტის „ა“-„ი“ ქვეპუნქტებში განსაზღვრულ და სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების პროექტის მოთხოვნებზე.

- a) სატენდერო წინადადებით შემოთავაზებული საქონელი და მისი მიწოდების პირობები სრულად უნდა შეესაბამებოდეს მე-5 პუნქტში მოცემულ მოთხოვნებს;
- b) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის თითოეული დოკუმენტი დამოწმებული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და ბეჭდით (მისი არსებობის შემთხვევაში).
- c) ტექნიკური დოკუმენტაცია შეიძლება წარმოდგენილი იყოს, როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენაზე. დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.
- d) ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება მოხდება

არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადახდო დოკუმენტების (ანგარიში, ფაქტურა, ინვოისი) წარმოდგენიდან (იმისდამიხედვით, რომელი უფრო გვიან მოხდება).

- e) სატენდერო წინადადების ფასი უნდა მოიცავდეს ამ ტენდერით გათვალისწინებული საქონლის სრულყოფილად მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს. ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას;
- f) იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალი იქნება შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან მოითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, შესაძლებელია დასაბუთდეს ექსპერტიზის დასკვნით, შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით ან ანგარიშფაქტურით (ინვოისით), რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას. საექსპერტო დასკვნის შემთხვევაში აუცილებელი იქნება ექსპერტის/აუდიტორის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა.
- g) აღნიშნული დასაბუთების წარუდგენლობა ან შეუსაბამობა სატენდერო განცხადებასთან, სატენდერო დოკუმენტაციასთან ან/და სისტემის მეშვეობით პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ტექნიკურ დოკუმენტაციასთან, გამოიწვევს მის დისკვალიფიკაციას „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე
- h) შემსყიდველს უფლება აქვს არ შეისყიდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის სრული მოცულობა.
- i) პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

**4. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები**

4.1. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა პრეტენდენტს არ მოეთხოვება.

**5. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი პარამეტრები**

5.1. შესასყიდა შემდეგი სახის და რაოდენობის საქონელი:

#	დასახელება და მახასიათებელი	განზ. ერთ	რაოდენობა
1	დაფის მაგნიტური საშლელი: საწმენდი პირი ქეჩის, დაფას უნდა ეკვროდეს საწნენდი მხრიდან	ცალი	30
2	ბურთულიანი კალამი თხევადმელნიანი , პლასტმასის გამჭვირვალე კორპუსით, თავსახურით, 0.7 მმ წვერით, დაბოლოებაზე ფერის აღმნიშვნელი პლასტმასის ხუფით.	ცალი	2000
3	კალამი თხევადმელნიანი , პლასტმასის გამჭვირვალე ტონირებული კორპუსით, თავსახურით, 0.7 მმ წვერით, რეზინის ერგონომიული ხელსაკიდით, დაბოლოებაზე ფერის აღმნიშვნელი პლასტმასის ხუფით.	ცალი	100

4	კონვერტი დიპლომატიური , ზომა 105x240მმ, 90 გრამიანი, წებოვანი ლენტით	ცალი	50
5	კორექტორი პლასმასის კორპუსით, 20 მლ	ცალი	50
6	სამაგიდე კალკულატორი, 12 თანრიგიანი, ორმაგი კვების წყაროთი, მეტალის კორპუსით, მექანიკური გამორთვის ფუნქციით, CORRECT, AUTO REPLAY, TAX-, TAX+, SET, და CHECK ფუნქციებით	ცალი	5
7	დაფის მარკერი: კორპუსის სიგრძე არანაკლებ 125მმ; თავის სიგრძე არანაკლებ 7მმ, თავის დიამეტრი არანაკლებ 4მმ, სხვადასხვა ფერის	ცალი	100
8	ტექსტმარკერი: წაკვეთილი თავით, კორპუსის სიგრძე არანაკლებ 105მმ, თავის სიგრძე არანაკლებ 7მმ, თავის დიამეტრი არანაკლებ 4მმ, (სხვადასხვა ფერის)	ცალი	100
9	მექანიკური ფანქარი: მთლიანად მეტალის კორპუსით, ნიკელის წვერით და გრიფელის გამოსაწევი ნიკელის ლილაკით, 0.5მმ- იანი	ცალი	20
10	გრიფელი მექანიკური ფანქრისთვის: 0.5მმ-იანი, 2B სირბილის , არანაკლებ 20 ცალიანი შეფუთვა	ცალი	20
11	მშრალი წებო, PVP 21გ	ცალი	100
12	თხევადი წებო, ორმხრივი წვერით 35მლ	ცალი	100
13	საკანცელარო დანა საშუალო: მეტალის კომბინირებული კორპუსით, სათადარიგო დანის პირით, მრავალჯერადი გამოყენების, საჭრელი პირების შეცვლის და დანის პირის არანაკლებ 10 პოზიციაზე დაფიქსირების ფუნქციით, ტარი პლასტმასის, რეზინის ელემენტებით, დანის პირის მიმმართველი და ჩამკეტი ფიქსატორი ლითონის, დანის პირის მიმმართველი ბუდის საშუალო სიგრძე არანაკლებ 120 მმ, სიგანე არაუმეტეს 12 მმ.ინდივიდუალურად შეფუთული ბლისტერში და ექვსი სათადარიგო პირით კომპლექტში.	ცალი	10
14	საკანცელარო დანა დიდი: მეტალის კომბინირებული კორპუსით, სათადარიგო დანის პირით, მრავალჯერადი გამოყენების, საჭრელი პირების შეცვლის და დანის პირის არანაკლებ 10 პოზიციაზე დაფიქსირების ფუნქციით, ტარი პლასტმასის, რეზინის ელემენტებით, დანის პირის მიმმართველი და ჩამკეტი ფიქსატორი ლითონის, დანის პირის მიმმართველი ბუდის საშუალო სიგრძე არანაკლებ 140 მმ, სიგანე არაუმეტეს 18 მმ.ინდივიდუალურად შეფუთული ბლისტერში და ორი სათადარიგო პირით კომპლექტში.	ცალი	10
15	საკანცელარო მაკრატელი: არანაკლებ 17.0 სმ, პლასტმასის ხელსაკიდით.	ცალი	10
16	სახვრეტელა, მთლიანად მეტალის კორპუსით, სახაზავით, არანაკლებ 10 ფურცლისთვის	ცალი	10
17	სახვრეტელა, მთლიანად მეტალის კორპუსით, სახაზავით, არანაკლებ 35 ფურცლისთვის	ცალი	10
18	შესაფუთი სკოჩი გამჭვირვალე 45მმ x 36.5მ	ცალი	10
19	სკოჩი პატარა ,გამჭვირვალე , 12მმ x 30მ	ცალი	10
20	სკრეპი #3, მეტალის, 100 ცალიანი კოლოფით	კოლოფი	200
21	სკრეპი #3, მეტალის, 100 ცალიანი კოლოფით	კოლოფი	10
22	სკრეპი #3, მეტალის, 30 ცალიანი კოლოფით	კოლოფი	10

23	სტეპლერი 24/6 - მეტალის მექანიზმით, არანაკლე 25 ფურცლის აკინძვის შესაძლებლობით, 55მმ სიღრმის პირით, ერთდროულად არანაკლებ 100 ცალი ტყვიის ჩატვირთვის შესაძლებლობით.	ცალი	60
24	სტეპლერი 23/10, მძლავრი, მეტალის მექანიზმით, არანაკლებ 60 ფურცლისათვის	ცალი	5
25	სტეპლერის ტყვია 23/10, 60 ფურცლის ასაკინძად	კოლოფი	5
26	სტეპლერის ტყვია 23/13, 80 ფურცლის ასაკინძად	კოლოფი	5
27	სტეპლერის ტყვია 24/6, მასალის სისქე 57 მკრ, 1000 ცალიანი კოლოფი	კოლოფი	200
28	სწრაფჩამკერი თხელი პლასტიკური ყდით, მეტალის მექანიზმით	ცალი	10
29	სწრაფჩამკერი მუყაოს ყდით	ცალი	10
30	დივიადერი პლასტიკური, არანაკლებ 6 ციფრი/ფერი	ცალი	10
31	ფანქარი საშლელით (გათლილი), ზოლიანი კორპუსით, გათლილი, 2B სირბილის, B საშლელით	ცალი	500
32	ფანქრის სათლელი: მეტალის, სხვადასხვა ზომის ორი სათლელი განყოფილებით	ცალი	50
33	500 გრამიანი შეფუთვით	შეკვრა	5
34	ფლიპჩარტის ქაღალდი: 20 ცალიანი შეკვრა	შეკვრა	10
35	ქაღალდი საბეჭდი, ფერადი, 500 ფურცლიანი, A4, 120გრ.	შეკვრა	1
36	ქაღალდი საბეჭდი, ფერადი, 250 ფურცლიანი, A4, 160გრ.	შეკვრა	1
37	ქაღალდი ქსეროქსის A3 ფორმატის; ზომა 297x420მმ; მინიმუმ 80გრ/მ <sup>2</sup> ; სისქე 103-110მიკრონი; გაუმჭვირვალობა >94%; სითეთრე არანაკლებ CIE 148%; სიკაშკაშე არანაკლებ 100%; ორმხივი ბეჭდვის შესაძლებლობის ყუთზე მითითებით ; ზედაპირის ხაოიანობა ML/MIN 75-175; შეკვრაში 500 ფურცელი.	შეკვრა	2
38	ქაღალდის დამჭერი კლიპი, მეტალის, 41მმ	ცალი	120
39	ქაღალდის დამჭერი კლიპი, მეტალის, 32მმ	ცალი	150
40	ქაღალდის დამჭერი კლიპი, მეტალის, 51მმ	ცალი	120
41	შტრიხ ლენტა (კორექტორი), 5მმx8მ; დამჭიმი მექანიზმით და წვერის დამცავიხუფით	ცალი	20
42	ჩასანიშნი ფურცლები, ფერადი არაწებოვანი, 80x80მმ, 300 ფურცელი	შეკვრა	100
43	ჩასანიშნი წებოვანი ფერადი ფურცლები, 75x75მმ	შეკვრა	300
44	წებოვანი გვერდის მოსანიშნი პლასტიკური სტიკერები, 5-ფერიანი, 12x45მმ	შეკვრა	50

5.2. მიწოდებული საქონლის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ბაზარზე არსებული ანალოგიური საქონლის ხარისხის საუკეთესო სტანდარტებს.

5.3. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქონლის მიწოდება 2017 წლის 1 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნიდან, მინიმუმ 5 სამუშაო დღის განმავლობაში, შემსყიდველის მისამართზე.

**6. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირებისაგან:**

6.1. სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:

ზურაბ ღონღაძე: ტელ: 2406 369; ელ.ფოსტა: [zgongadze@nbg.gov.ge](mailto:zgongadze@nbg.gov.ge)

ნიკოლოზ ჩუხრუკიძე: ტელ: 2406 398; ელ.ფოსტა: [nchukhrukidze@nbg.gov.ge](mailto:nchukhrukidze@nbg.gov.ge)

**შენიშვნები:**

1. სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელო მოცემულია საიტზე: [www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge);
2. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ“ მოცემულია საიტზე: [www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge);

**სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი  
ხელშეკრულება N**

ქ. თბილისი

2016 წელი

**შემსყიდველი:** ს.ს.ი.პ. „საქართველოს ეროვნული ბანკი“

მისამართი: თბილისი, 0114, სანაპიროს ქ. 2;

საიდენტიფიკაციო კოდი: 203 824 148.

**მიმწოდებელი:** \_\_\_\_\_

**იურიდიული მისამართი:** \_\_\_\_\_

**ფაქტიური მისამართი:** \_\_\_\_\_

**საიდენტიფიკაციო კოდი:** \_\_\_\_\_

**საბანკო რეკვიზიტები:** \_\_\_\_\_

ერთის მხრივ შემსყიდველი და მეორეს მხრივ, მიმწოდებელი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (სატენდერო განცხადება № SPA1600\_\_\_\_) ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების საგანი**

- 1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საკანცელარიო ნაწარმის (შემდგომში „საქონელი“) შესყიდვა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად (CPV კოდი – 30190000).

**2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

- 2.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
- 2.2. ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას)

შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ სებ–ის შესყიდვების და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი და ან მის მიერ უფლაბამოსილი პირი/პირები.

- 2.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა ან შეცვალოს უხარისხო საქონელი.

### **3. საქონლის მიწოდებისა და მიღება ჩაბარების წესი**

- 3.1. მიმწოდებელმა საქონლის შემსყიდველისათვის მიწოდება უნდა განახორციელოს ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნების საფუძველზე, 2017 წლის 1 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მისამართებზე.
- 3.2. თითოეული მოთხოვნით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებას მიმწოდებელი განახორციელებს 5 სამუშაო დღის განმავლობაში, შემსყიდველის შესაბამისი მოთხოვნიდან.
- 3.3. საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
- 3.4. შემსყიდველის მხრიდან 3.3. პუნქტში აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერი პირია სებ–ის შესყიდვების და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი.

### **4. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი**

- 4.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ფასები მოცემულია დანართში N1, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
- 4.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს \_\_\_\_\_ლარს („ხელშეკრულების ფასი“).
- 4.3. დასაშვებია ხელშეკრულების ფასის ფარგლებში თითოეული დასახელების საქონლის რაოდენობის ცვლა ერთეულის ფასების შეუცვლელად.
- 4.4. ხელშეკრულების ფასი მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.
- 4.5. მიწოდებული საქონლის ღირებულების გადახდა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
- 4.6. ანგარიშსწორება ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების 3.3 ქვეპუნქტის შესაბამისად საქონლის მიღებიდან და მიმწოდებლის მიერ სათანადო დოკუმენტაციის (ანგარიში, საგადასახადო ა/ფაქტურა, ინვოისი) წარმოდგენიდან (იმისდამიხედვით რომელი უფრო გვიან მოხდება) არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

### **5. მხარეთა უფლება-მოვალეობები**

- 5.1. შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს მიმწოდებლის მიერ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას მიწოდებული შესყიდვის ობიექტი.
- 5.2. შემსყიდველს უფლება აქვს არ შეისყიდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის სრული მოცულობა.
- 5.3. შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
- 5.4. მიმწოდებელი ვალდებულია ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი.
- 5.5. მიმწოდებელს უფლება აქვს მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მიიღოს მისი ღირებულება.



## **6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის**

- 6.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მას პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 20%-ის ოდენობით.
- 6.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად ან დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მას პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0,02%-ის ოდენობით, ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.
- 6.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მას პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.
- 6.4. საჯარიმო სანქციების გადახდა შესაძლებელია მოხდეს მიმწოდებლისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.
- 6.5. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0,02%-ის ოდენობით.
- 6.6. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს არცერთ მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
- 6.7. იმ შემთხვევაში, თუ 6.2 პუნქტით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების ჯამური ოდენობა შეადგენს ხელშეკრულების ფასის 1%-ს, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად გაწყვიტოს ხელშეკრულება მეორე მხარის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის მოტივით. ამ შემთხვევაში გამოყენებული იქნება 6.1 ან 6.3 პუნქტით გათვალისწინებული სანქციები.

## **7. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა**

- 7.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
- 7.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 7.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
- 7.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
- 7.5. მხარე ვალდებულია 7.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
- 7.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## **8. დაუძლეველი ძალა**

- 8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების

შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

- 8.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
- 8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

### **9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი**

- 9.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### **10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

- 10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვარს და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

### **11. ზოგადი დებულებები**

- 11.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.
- 11.2. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 11.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს, ორი ეგზემპლარი შემსყიდველს).

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

**შემსყიდველის მხრიდან:**

*(უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, ხელმოწერა და თანამდებობა)*

**მიმწოდებლის მხრიდან:**

*(უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, ხელმოწერა და თანამდებობა)*

ფასების ცხრილი

#	დასახელება და მახასიათებელი	მწარმოებელი, წარმოშობის ქვეყანა	განზ.ერთ	რაოდენობა	ფასი (ლარი)	
					ერთეულის	საერთო
1	დაფის მაგნიტური საშლელი: საწმენდი პირი ქეჩის, დაფას უნდა ეკვროდეს საწმენდი მხრიდან		ცალი	30		
2	ბურთულიანი კალამი თხევადმელნიანი , პლასტმასის გამჭვირვალე კორპუსით, თავსახურით, 0.7 მმ წვერით, დაბოლოებაზე ფერის აღმნიშვნელი პლასტმასის ხუფით.		ცალი	2000		
3	კალამი თხევადმელნიანი , პლასტმასის გამჭვირვალე ტონირებული კორპუსით, თავსახურით, 0.7 მმ წვერით, რეზინის ერგონომიული ხელსაკიდით, დაბოლოებაზე ფერის აღმნიშვნელი პლასტმასის ხუფით.		ცალი	100		
4	კონვერტი დიპლომატიური , ზომა 105x240მმ, 90 გრამიანი, წებოვანი ლენტით		ცალი	50		
5	კორექტორი პლასტმასის კორპუსით, 20 მლ		ცალი	50		
6	სამაგიდე კალკულატორი, 12 თანრიგისანი, ორმაგი კვების წყაროთი, მეტალის კორპუსით, მექანიკური გამორთის ფუნქციით, CORRECT, AUTO REPLAY, TAX-, TAX+, SET, და CHECK ფუნქციებით		ცალი	5		
7	დაფის მარკერი: კორპუსის სიგრძე არანაკლებ 125მმ; თავის სიგრძე არანაკლებ 7მმ, თავის დიამეტრი არანაკლებ 4მმ, სხვადასხვა ფერის		ცალი	100		
8	ტექსტმარკერი: წაკვეთილი თავით, კორპუსის სიგრძე არანაკლებ 105მმ, თავის სიგრძე არანაკლებ 7მმ, თავის დიამეტრი არანაკლებ 4მმ, (სხვადასხვა ფერის)		ცალი	100		
9	მექანიკური ფანქარი: მთლიანად მეტალის კორპუსით, ნიკელის წვერით და გრიფელის გამოსაწევი ნიკელის ლილაკით, 0.5მმ- იანი		ცალი	20		
10	გრიფელი მექანიკური ფანქარისთვის: 0.5მმ-იანი, 2B სირბილის , არანაკლებ 20 ცალიანი შეფუთვა		ცალი	20		
11	მშრალი წებო, PVP 21გ		ცალი	100		

12	თხევადი წებო, ორმხრივი წვერით 35მლ		ცალი	100		
13	საკანცელარიო დანა საშუალო: მეტალის კომბინირებული კორპუსით, სათადარიგო დანის პირით, მრავალჯერადი გამოყენების, საჭრელი პირების შეცვლის და დანის პირის არანაკლებ 10 პოზიციაზე დაფიქსირების ფუნქციით, ტარი პლასტმასის, რეზინის ელემენტებით, დანის პირის მიმმართველი და ჩამკეტი ფიქსატორი ლითონის, დანის პირის მიმმართველი ბუდის საშუალო სიგრძე არანაკლებ 120 მმ, სიგანე არაუმეტეს 12 მმ.ინდივიდუალურად შეფუთული ბლისტერში და ექვსი სათადარიგო პირით კომპლექტში.		ცალი	10		
14	საკანცელარიო დანა დიდი: მეტალის კომბინირებული კორპუსით, სათადარიგო დანის პირით, მრავალჯერადი გამოყენების, საჭრელი პირების შეცვლის და დანის პირის არანაკლებ 10 პოზიციაზე დაფიქსირების ფუნქციით, ტარი პლასტმასის, რეზინის ელემენტებით, დანის პირის მიმმართველი და ჩამკეტი ფიქსატორი ლითონის, დანის პირის მიმმართველი ბუდის საშუალო სიგრძე არანაკლებ 140 მმ, სიგანე არაუმეტეს 18 მმ.ინდივიდუალურად შეფუთული ბლისტერში და ორი სათადარიგო პირით კომპლექტში.		ცალი	10		
15	საკანცელარიო მკრატელი: არანაკლებ 17.0 სმ, პლასტმასის ხელსაკიდით.		ცალი	10		
16	სახვრეტელა, მთლიანად მეტალის კორპუსით, სახაზავით, არანაკლებ 10 ფურცლისთვის		ცალი	10		
17	სახვრეტელა, მთლიანად მეტალის კორპუსით, სახაზავით, არანაკლებ 35 ფურცლისთვის		ცალი	10		
18	შესაფუთი სკოჩი გამჭვირვალე 45მმ x 36.5მ		ცალი	10		
19	სკოჩი პატარა ,გამჭვირვალე , 12მმ x 30მ		ცალი	10		
20	სკრეპი #3, მეტალის, 100 ცალიანი კოლოფით		კოლოფი	200		
21	სკრეპი #3, მეტალის, 100 ცალიანი კოლოფით		კოლოფი	10		
22	სკრეპი #3, მეტალის, 30 ცალიანი კოლოფით		კოლოფი	10		

23	სტეპლერი 24/6 - მეტალის მექანიზმით, არანაკლე 25 ფურცლის აკინძვის შესაძლებლობით, 55მმ სიღრმის პირით, ერთდროულად არანაკლებ 100 ცალი ტყვიის ჩატვირთვის შესაძლებლობით.		ცალი	60		
24	სტეპლერი 23/10, მძლავრი, მეტალის მექანიზმით, არანაკლებ 60 ფურცლისათვის		ცალი	5		
25	სტეპლერის ტყვია 23/10, 60 ფურცლის ასაკინძად		კოლოფი	5		
26	სტეპლერის ტყვია 23/13, 80 ფურცლის ასაკინძად		კოლოფი	5		
27	სტეპლერის ტყვია 24/6, მასალის სისქე 57 მკრ, 1000 ცალიანი კოლოფი		კოლოფი	200		
28	სწრაფჩამკერი თხელი პლასტიკური ყდით, მეტალის მექანიზმით		ცალი	10		
29	სწრაფჩამკერი მუყაოს ყდით		ცალი	10		
30	დივიდერი პლასტიკური, არანაკლებ 6 ციფრი/ფერი		ცალი	10		
31	ვანქარი საშლელით (გათლილი), ზოლიანი კორპუსით, გათლილი, 2B სირბილის, B საშლელით		ცალი	500		
32	ვანქრის სათლელი: მეტალის, სხვადასხვა ზომის ორი სათლელი განყოფილებით		ცალი	50		
33	500 გრამიანი შეფუთვით		შეკვრა	5		
34	ფლიპჩარტის ქალაღდი: 20 ცალიანი შეკვრა		შეკვრა	10		
35	ქალაღდი საბეჭდი, ფერადი, 500 ფურცლიანი, A4, 120გრ.		შეკვრა	1		
36	ქალაღდი საბეჭდი, ფერადი, 250 ფურცლიანი, A4, 160გრ.		შეკვრა	1		
37	ქალაღდი ქსეროქსის A3 ფორმატის; ზომა 297x420მმ; მინიმუმ 80გრ/მ <sup>2</sup> ; სისქე 103-110მკრონი; გაუმჭვირვალობა >94%; სითეთრე არანაკლებ CIE 148%; სიკაშკაშე არანაკლებ 100%; ორმხივი ბეჭდვის შესაძლებლობის ყუთზე მითითებით ; ზედაპირის ხაოიანობა ML/MIN 75-175; შეკვრაში 500 ფურცელი.		შეკვრა	2		
38	ქალაღდის დამჭერი კლიპი, მეტალის, 41მმ		ცალი	120		
39	ქალაღდის დამჭერი კლიპი, მეტალის, 32მმ		ცალი	150		
40	ქალაღდის დამჭერი კლიპი, მეტალის, 51მმ		ცალი	120		

41	შტრის ლენტა (კორექტორი), 5მმx8მ; დამჭიმი მექანიზმით და წვერის დამცავიხუფით		ცალი	20			
42	ჩასანიშნი ფურცლები, ფერადი არაწებოვანი, 80x80მმ, 300 ფურცელი		შეკვრა	100			
43	ჩასანიშნი წებოვანი ფერადი ფურცლები, 75x75მმ		შეკვრა	300			
44	წებოვანი გვერდის მოსანიშნი პლასტიკური სტიკერები, 5-ფერიაანი, 12x45მმ		შეკვრა	50			
		<b>სულ:</b>					

---

(პრეტენდენტის დასახელება)

---

(უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი)

---

(უფლებამოსილი პირის თანამდებობა)

---

(უფლებამოსილი პირის ხელმოწერა)

ბ. ა.